giz Office South Caucasus

German Development Cooperation

GIZ Office South Caucasus
Rustaveli Ave. 42 / Griboedov Str. 31a
0108 Tbilisi, Georgia
T +995 32 2201800
F +995 32 2201801

Your reference
Our reference

18 April 2019

კონკურსის გამოცხადება

პროექტის დასახელება: **ბიომრავალფეროვნების ინტეგრირებული მართვა სამხრეთ კავკასიაში**
პროექტის ნომერი: **15.2101.2-006.00**

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის დავალებით შპს. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) საქმიანობას ეწევა გერმანია-საქართველოს განვითარების თანამშრომლობის სფეროში.

დაგეგმილი გვაქვს შევისყიდოთ შემდეგი სამუშაო/მომსახურება **დანართი 1 - ის** შესაბამისად.

ინტერესის შემთხვევაში გთხოვთ **24.04.2019 -ის 15:00 საათამდე** წარმოგვიდგინოთ თქვენი შემოთავაზება **ამობეჭდილი** სახით, დახურულ კონვერტში.
გთხოვთ შემოთავაზებები მოგვაწოდოთ ორ ენაზე (ქართული და ინგლისური ან გერმანული)

დაგვიანებული შემოთავაზებები არ განიხილება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ 2013 წლის მაისიდან სსკ–ს 168-ე მუხლის მე–4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება სარგებლობს გადასახადებისგან გათავისუფლებით (დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი) და შესაბამისად **ეროვნულ ვალუტაში** წარმოდგენილი ფასი **არ უნდა შეიცავდეს მოცემულ გადასახადებს**.

გთხოვთ კონვერტზე მიუთითოთ შემდეგი:
- ფირმის სრული სახელწოდება
- საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, საკონტაქტო პირი)

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

Registered offices
Bonn and Eschborn, Germany

Friedrich-Ebert-Allee 36 + 40
53113 Bonn, Germany
T +49 228 44 60-0
F +49 228 44 60-17 66

Dag-Hammarskjöld-Weg 1 - 5
65760 Eschborn, Germany
T +49 61 96 79-0
F +49 61 96 79-11 15

E info@giz.de
I www.giz.de

Registered at
Local court (Amtsgericht)
Bonn, Germany
Registration no. HRB 18384
Local court (Amtsgericht)
Frankfurt am Main, Germany
Registration no. HRB 12394

Chairman of the Supervisory Board
Martin Jäger, State Secretary

Management Board
Tanja Gönner (Chair)
Dr Christoph Beier (Vice-Chair)

- ტენდერის დასახელება - **IT აღჭურვილობა**
- წარწერა ,,კონფედენციალურია“
- გთხოვთ მოაწეროთ ხელი დალუქვის ადგილზე.

აგრეთვე მიუთითოთ შემდეგი მისამართი:

GIZ-ის რეგიონალურ ბიუროს სამხრეთ კავკასიაში
რუსთაველის 42 / გრიბოედოვის 31ა
0108 თბილისი

მიუთითეთ პროგრამის ნომერი **15.2101.2-006.00** და აგრეთვე ნომერი **91128500**

გთხოვთ შემოთავაზება დაიტანოთ თქვენი ორგანიზაციის **ლოგოიან თავფურცელზე, დასვათ ბეჭედი და ხელმოწერა.**

- შემოთავაზებაში მითითებული უნდა იყოს შეკვეთის შესრულების ვადები
- შემოთავაზების მოქმედების ვადა

პროცედურული თუ ტექნიკური შეკითხვების შემთხვევაში მიმართეთ – შემოთავაზებების ჩაბარებამდე არაუგვიანეს **2 დღისა:**

ქალბატონ მარიამ წერეთელს
ტელ. ნომერი 995 32 2 201822
mariam.tsereteli@giz.de

წესების დარღვევის შემთხვევაში შეიძლება თქვენი შემოთავაზება არ იქნას განხილული.

შემოთავაზებების შეფასება სავარაუდოდ დასრულდება **25.04.2019** -სთვის. დაკავშირება მოხდება მხოლოდ გამარჯვებულ ფირმასთან.

პატივისცემით,

მარიამ წერეთელი
შესყიდვების და კონტრაქტების განყოფილება

<u>**დანართები**</u>

დანართი 1 - ტექნიკური მახასიათებლები და რაოდენობა

1. სხვა პირობები:

ტენდერში მონაწილე ფირმას უნდა გააჩნდეს მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება

შემოთავაზებული პროდუქტი არ უნდა იყოს მოხსნილი წარმოებიდან

საქონლის მიწოდების სასურველი ვადა 1-2 კვირა

საქონლის მიწოდების ადგილი: თბილისი, გულუას ქ. 6

ანაზღაურება: საქონლისა და ორიგინალი ინვოისის მიწოდებიდან 5 სამუშაო დღეში

<u>დანართი 1</u>

შეჯავშნული პლანშეტური კომპიუტერის მინიმალური ტექნიკური მახასიათებლები

რაოდენობა: 1 ცალი

შესავალი ტექნიკურ მოთხოვნებზე: დაცული პლანშეტური კომპიუტერის გამოყენება მოხდება ველზე, გარე/საველე სამუშაო პირობებში, სადაც მუშაობის პროცესში მოხდება მისი არაერთჯერადად დასველება, იგი იმუშავებს მტვრიან გარემოში, მომხმარებლებს ხშირად არ ექნებათ წვდომა კვების წყაროსთან, რათა მოახერხონ მოწყობილობის დამუხტვა . ამგვარად მოწყობილობის ეფექტური მუშაობისთვის იგი უნდა პასუხობდეს მსგავს გარემოში მუშაობის სტანდარტებს, უნდა იყოს მოსახერხებელი მოხმარებისას და აკუმულატორები უნდა უზრუნველყოფდეს მაქსიმალურად ხანგრძლივ მუშაობას. დაბლა მოცემულია მოწყობილობის მინიმალური ტექნიკური მახასიათებლები, რომელიც აუცილებელია მისი მოხერხებული მოხმარებისთვის, სამუშაო პროცესში გამოსაყენებელ პროგრამულ უზრუნველყოფასთან ადაპტირებისა და სამუშაო პირობებზე მორგების მიზნით.

განმარტება მინიმალურ მოთხოვნებზე: როდესაც მოთხოვნში განსაზღვრულია ერთი მნიშვნელობა, მაშინ მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს ან უკეთესი უნდა იყოს მოცემულ მოთხოვნაზე, როდესაც განსაზღვრულია მოთხოვნის დიაპაზონი, მოწყობილობის მუშა დიაპაზონი უნდა აჭარბებდეს მინიმალურ მოთხოვნილ დიაპაზონს. როდესაც განსაზღვრულია პარამეტრი, რომელიც აგრეთვე მოქმედებს მოწყობილობის მოხმარების მოსახერხებლობაზე იგი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნაში განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ან შინაარსობრივად იძლეოდეს იგივე შედეგს მოსახერხებლობის და ფუნქციონალურობის თვალსაზრისით.

ტექნიკური მახასიათებლები:

ეკრანის ზომა: 25.6 სმ გაფართოვებით 1920*1200;

შეხებაზე მგრძნობიარე ეკრანი: 10 ერთდროული შეხების წერტილის აღქმით, უნდა მუშაობდეს, როგორც თითის, ასევე ეკრანის ჩხირის და ხელთათმანის გამოყენებით;

პროცესორი: არანაკლებ ოთხ ბირთვიანი პროცესორი სიხშირით 1.50გგჰც, 64 ბიტიანი ოპერაციული სისტემის მხარდაჭერით;

მეხსიერება: არანაკლებ 4გგბაიტი RAM, 64 გგბაიტი FLASH, დამატებითი ბარათის ჩადების შესაძლებლობა 1 ტერა ბაიტამდე;

ოპერაციული სისტემა: ვინდოუს 10 “ენთერპრაიზ” ვერსია;

კავშირის საშუალებები:

WiFi სტანდარტი 802.11 a/b/g/n ორ სიხშირეზე მომუშავე

მობილური ინტერნეტის მხარდაჭერა: 4/LTE-ის მხარდაჭერა,

„ბლუთუზ“ ტექნოლოგია: ვერსიით 4.0 ან უფრო ახალი.

აკუმულატორი: არანაკლებ 8650 მამპ.სთ ტევადობის აკუმულატორი, დამატებითი აკუმულატორის მიერთების შესაძლებლობით (მოწყობილობის მოხერხებული გამოყენების მიზნით, მიერთება არ უნდა მოხდეს კაბელების გამოყენებით, არამედ სპეციალურად დამატებითი აკუმულატორის მოსათავსებელი აქსესუარის გამოყენებით, რომელიც ფიზიკურად ემაგრება მოწყობილობას და ასევე უზრუნველყოფს აკუმულატორის მოწყობილობასთან ელექტრულ მიერთებას სპეციალური კონტაქტების გამოყენებით);

კამერები: წინა (2 მგ პიქსელი) და უკუხედვის კამერა (8 მგ პიქსელი);
მუშა ტემპერატურული საზღვრები: 0-დან 50° ცელსიუსის შკალით;
გარემო პირობებისა და ვიბრაციისგან დაცვა: წყლისა და მტვრის შეღწევისგან დაცვის ინდექსი 65, ვიბრაცია 10-1000 ჰც საშუალო კვადრატული მნიშვნელობით 1.9გ, ხანგრძლივობით 1 საათი;
ვარდნა მედეგობა: 1.8 მ სიმაღლიდან ბეტონის ზედაპირზე დამცავი შალითის გამოყენების დროს;
მიერთების ინტერფეისები: USB კონექტორი, SIM ბარათის ჩასადები, 3.5მმ აუდიო ინტერფეისი, მიკროUSB;
მონაცემთა მოკრების საშუალებები:

ინტეგრირებული გპს (GPS) მიმღები;

ინტეგრირებული ახლო კონტაქტის (NFC) წამკითხველი/ჩამწერი მოწყობილობა;

გარე პირობებში გამოსაყენებელი დამატებითი მოწყობილობის - ბარ-კოდების წამკითხველი ფონის ლაზერული განათებით, მიერთების შესაძლებლობა სპეციალური მისაერთებელი ბუდის საშუალებით;

3 განზომილებანი მოძრაობის სენსორი, რომელიც უზრუნველყოფს ეკრანის დინამიურ ადაპტირებას/ორიენტაციას;

სინათლის სენსორი, რომელიც უზრუნველყოფს ეკრანის ფონური განათების გარემო პირობებზე ავტომატურ ადაპტირებას;

მოწყობილობა უნდა დაკომპლექტდეს შემდეგი აქსესუარებით:
დამცავი გარსაცმი, რომელიც უზრუნველყოფს მოწყობილობის ვარდნამედეგობის გაზრდას ბეტონის ზედაპირზე მინიმუმ 1.8მ მდე და არ დაფარავს აქსესუარების მიერთების კონტაქტებს, მოწყობილობის მოხმარება, დამუხტვა და მასზე დამატებითი ქარხნული აქსესუარების მიერთება შესაძლებელი უნდა იყოს გარსაცმის მოხსნის გარეშე;
ბარ-კოდების წამკითხველი მოწყობილობა, ფონის ლაზერული განათებით, რომელიც შეძლებს 1 და 2 განზომილებანი ბარ-კოდების წაკითხვას, დამაგრდება უშუალოდ მოწყობილობაზე და ინტეგრირდება აქსესუარების კონტაქტების საშუალებით, ბარ-კოდების წამკითხველი აქსესუარის გამოყენების დროს, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს პლასტმასის დამცავი გარსაცმის გამოყენებაც;
კვების ბლოკი და ყველა საჭირო აქსესუარი/ადაპტერი, რომელიც შესაძლებელს გახდის მოწყობილობის დამუხტვას დამცავი გარსაცმის მოხსნის საჭიროების გარეშე;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ტენდერში მონაწილეობის სპეციფიკა:

პროდუქციის მიმწოდებელი კომპანია, უნდა იყოს მწარმოებლის ოფიციალური წარმომადგენელი/რეალიზატორი საქართველოში, რაც უნდა დაადასტუროს მწარმოებლის მიერ გაცემული სერთიფიკატის სისტემაში ატვირთვის გზით, სერთიფიკატი უნდა იყოს მოქმედი. აღნიშნული სერთიფიკატის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;

პრეტენდენტმა წინადადებაში უნდა მიუთითოს შემოთავაზებული პროდუქციის და აქსესუარების მწარმოებლის კოდი, მოდელი და მწარმოებელი კომპანია, რაც სატენდერო კომისიას მისცემს საშუალებას დამოუკიდებლად შეაფასოს შემოთავაზებული პროდუქციის ტექნიკური მახასიათებლების თანხვედრა ტექნიკურ მოთხოვნებთან, აღნიშნული ინფომრაციის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;

ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ: შემოთავაზებულ პროდუქციაზე უნდა ვრცელდებოდეს მწარმოებლის გარანტია ქარხნულ წუნზე, მინიმუმ 1 წლის ვადით;

შეჯავშნული პლანშეტური კომპიუტერის მინიმალური ტექნიკური მახასიათებლები

რაოდენობა: 1 ცალი

შესავალი ტექნიკურ მოთხოვნებზე: დაცული პლანშეტური კომპიუტერის გამოყენება მოხდება ველზე, გარე/საველე სამუშაო პირობებში, სადაც მუშაობის პროცესში მოხდება მისი არაერთჯერადად დასველება, იგი იმუშავებს მტვრიან გარემოში, მომხმარებლებს ხშირად არ ექნებათ წვდომა კვების წყაროსთან, რათა მოახერხონ მოწყობილობის დამუხტვა. ამგვარად მოწყობილობის ეფექტური მუშაობისთვის იგი უნდა პასუხობდეს მსგავს გარემოში მუშაობის სტანდარტებს, უნდა იყოს მოსახერხებელი მოხმარებისას და აკუმულატორები უნდა უზრუნველყოფდეს მაქსიმალურად ხანგრძლივ მუშაობას. დაბლა მოცემულია მოწყობილობის მინიმალური ტექნიკური მახასიათებლები, რომელიც აუცილებელია მისი მოხერხებული მოხმარებისთვის, სამუშაო პროცესში გამოსაყენებელ პროგრამულ უზრუნველყოფასთან ადაპტირებისა და სამუშაო პირობებზე მორგების მიზნით.

განმარტება მინიმალურ მოთხოვნებზე: როდესაც მოთხოვნაში განსაზღვრულია ერთი მნიშვნელობა, მაშინ მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს ან უკეთესი უნდა იყოს მოცემულ მოთხოვნაზე, როდესაც განსაზღვრულია მოთხოვნის დიაპაზონი, მოწყობილობის მუშა დიაპაზონი უნდა აჭარბებდეს მინიმალურ მოთხოვნილ დიაპაზონს. როდესაც განსაზღვრულია პარამეტრი, რომელიც აგრეთვე მოქმედებს მოწყობილობის მოხმარების მოსახერხებლობაზე იგი უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნაში განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ან შინაარსობრივად იძლეოდეს იგივე შედეგს მოსახერხებლობის და ფუნქციონალურობის თვალსაზრისით.

ტექნიკური მახასიათებლები:

ეკრანის ზომა: 25.6სმ ეკრანის რეზოლუცია(გაფართოვება) 1920*1200
შეხებაზე მგრძნობიარე ეკრანი: 10 ერთდროული შეხების წერტილის აღქმით, უნდა მუშაობდეს, როგორც თითის, ასევე ეკრანის ჩხირის და ხელთათმანის გამოყენებით;
პროცესორი: არანაკლებ ოთხ ბირთვიანი პროცესორი სიხშირით 1.10გგჰც;
ოპერატიული მეხსიერება: 8გიგაბაიტი RAM,
დისკის მოცულობა: არანაკლებ 128 ggბაიტი SSD;
ოპერაციული სისტემა: Windows 10 პროფესიონალური ვერსია;

კავშირის საშუალებები:

WiFi სტანდარტის მხარდაჭერა: 802.11 a/b/g/n/ac ორ სიხშირეზე მომუშავე
მობილური ინტერნეტის მხარდაჭერა: 4G/LTE სტანდარტი
Bluetooth ტექნოლოგია: ვერსია 4.2 ან უფრო ახალი.

აკუმულატორი: არანაკლებ 36ვტ.სთ სტანდარტული ტევადობის აკუმულატორი, დიდი ტევადობის აკუმულატორის მიერთების შესაძლებლობით (მოწყობილობის მოხერხებული გამოყენების მიზნით, დიდი ტევადობის აკუმულატორი უნდა თავსდებოდეს ტევადობის აკუმულატორისთვის გამოყოფილ ბუდეში, დიდი ტევადობის აკუმულატორის მიერთების შემთხვევაში არ უნდა დაირღვეს მოწყობილობის მტვრისა და წყლისგან დაცვის ინდექსი, მისი ვარდნა გამძლეობა და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრები, შესაძლოა გაიზარდოს მოწყობილობის მაქსიმალური სიღრმე, მაგრამ არაუმეტეს 0.3 სმ-სა);

კამერები: წინა (2 მგ პიქსელი) და უკუხედვის კამერა (13 მგ პიქსელი);
მუშა ტემპერატურული საზღვრები: -20-დან 60° ცელსიუსის შკალით;
გარემო პირობებისა და ვიბრაციისგან დაცვა: წყლისა და მტვრის შეღწევისგან დაცვის ინდექსი IP 65, სამხედრო სტანდარტთან 810G შესაბამისობა შემდეგ პარამეტრებზე: ვარდნა: 1.8 მ სიმაღლიდან ბეტონის ზედაპირზე გადაკრულ ხის მასალაზე მუშა მდგომარეობაში; დარტყმა: 40გ მუშა რეჟიმში; წყალმედეგობა: მეთოდი 506.5-ის პირველი პროცედურა, ტემპერატურის მეყსეული ცვლილება: -30-დან 70°-მდე ცელსიუსის შკალით 5 წუთის პერიოდში, გამორთული სისტემის შემთხვევაში; სიმაღლე ზღვის დონიდან: 15240 მ მუშა მდგომარეობაში;
უსაფრთხოების მოდულები: ინტეგრირებული თითის ანაბეჭდის სენსორი, სანდო პლატფორმის მოდული 2.0 (TPM);
მიერთების ინტერფეისები: 2 ცალი USB კონექტორი, C ტიპის USB კონექტორი, RJ-45 ქსელური ქონექტორი, SIM ბარათის ჩასადები, 3.5მმ აუდიო ინტერფეისი;
მონაცემთა მოკრების საშუალებები:

- ინტეგრირებული GPS მიმღები;
- ინტეგრირებული ახლო კონტაქტის (NFC) წამკითხველი;

მოწყობილობა უნდა დაკომპლექტდეს შემდეგი აქსესუარებით:
კვების ბლოკი და ყველა საჭირო აქსესუარი/ადაპტერი, რომელიც შესაძლებელს გახდის მოწყობილობის დამუხტვას;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ტენდერში მონაწილეობის სპეციფიკა:

პროდუქციის მიმწოდებელი კომპანია, უნდა იყოს მწარმოებლის ოფიციალური წარმომადგენელი/რეალიზატორი საქართველოში, რაც უნდა დაადასტუროს მწარმოებლის მიერ გაცემული სერთიფიკატის სისტემაში ატვირთვის გზით, სერთიფიკატი უნდა იყოს მოქმედი. აღნიშნული სერთიფიკატის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;

პრეტენდენტმა წინადადებაში უნდა მიუთითოს შემოთავაზებული პროდუქციის და აქსესუარების მწარმოებლის კოდი, მოდელი და მწარმოებელი კომპანია, რაც სატენდერო კომისიას მისცემს საშუალებას დამოუკიდებლად შეაფასოს შემოთავაზებული პროდუქციის ტექნიკური მახასიათებლების თანხვედრა ტექნიკურ მოთხოვნებთან, აღნიშნული ინფორმაციის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას;

ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ: შემოთავაზებულ პროდუქციაზე უნდა ვრცელდებოდეს მწარმოებლის გარანტია ქარხნულ წუნზე, მინიმუმ 3 წლის ვადით;